პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОММУНИСТ

СССР

1976 კვირა 13 ივნისი № 138 (16568) ფასი 2 კაპ. 1976

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

13 ივნისი მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა დღეა

ახლოდან პირველი ხარისხის პროდუქცია, — ასეთი დევიზით შრომობს თბილისის ხაზარმოო გაერთიანების — აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივი. დაწინაურდა საქსოვი ხალამქრო, რომელმაც 5 თვეში ვეგების გადამეტებით 34 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი გამოუშვა. ამ საამქროს № 6 ბრიგადის წევრმა, საქართველოს კომპარტიის XXV და საკკპ XXV ყრილობათა დელეგატმა ც. კილასონიამ 5 თვის ნორმის გადამეტებით 2.000 მეტრი ქსოვილი მოქსოვა.

ამ ფაბრიკის თაოსნობას მხარს უბამს თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ნადიკვრის“ კოლექტივი, რომელიც მხოლოდ ხარისხის ნიშნით უშვებს პროდუქციას. მან 5 თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და სახელმწიფოს ათასობით მანეთის ზეგეგმითი მოგება მისცა. ამ საქმეში თავისი წვლილი შეაქვს № 1 ბრიგადის ხელმძღვანელს ნ. ლომხაშვილს. მისი ბრიგადა ყოველთვის მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებს.

 სურათზე: ფაბრიკა „ნადიკვრის“ № 1 ბრიგადის ხელმძღვანელი ნ. ლომხაშვილი.

ბ. ბოგოხლის ტექსტი და ფოტო.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით პარტიული სწავლების ამოცანების შესახებ“

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიული ორგანიზაციები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან პარტიის წევრთა და უპარტიო აქტივის მარქსისტულ-ლენინური განათლების დარგში. პარტიული სწავლების სისტემაში 20 მილიონზე მეტი კაცი სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დოკუმენტებს, პარტიის ისტორიას, პოლიტიკური ეკონომიის, ფილოსოფიის, მეცნიერული კომუნიზმის, ეკონომიკისა და მართვის საფუძვლებს. ფართოდ განვითარდა ავრეთვე კომკავშირელთა პოლიტიკური განათლება, მშრომელთა ეკონომიური განათლება, კომუნისტური შრომის სკოლები, სახალხო უნივერსიტეტები. ყოველივე ეს ხელს უწყობს კომუნისტებისა და უპარტიოების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში მათი აქტივობის გაძლიერებას.

ამასთან ერთად სკკპ ცენტრალური კომიტეტის აზრით, თანამდროვე პირობებში პარტიული განათლების სისტემას შემდგომი სრულყოფა ეხებიროება იმ ამოცანათა შესაბამისად, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ დასახა პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, იდეოლოგიური საქმიანობის დარგში. პარტიისა და ხალხის რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმიანობის ხილრმე და გაქანება, მეცნიერებისა და ტექნიკის, ეკონომიკისა და სოციალურ ურთიერთობათა განვითარება, საბჭოთა ადამიანების შეგნებულობის ზრდა და კეთილდღეობის გაუმჯობესება, სოციალიზმის სახარგებლოდ საერთაშორისო ვითარებაში მომხდარი დიდი ძვრები, მსოფლიო ასპარეზზე ბურჟუაზიული და რევიზიონისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი აქტივიზაციის ხაჭიროება გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს პარტიის წევრთა და ფართო მასების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დარგში პარტიულ ორგანიზაციათა მუშობას.

მარქსისტულ-ლენინური სწავლება კომუნისტებს, ყველა მშრომელს შეაიარაღებს მარქს-ენგელს-ლენინის იდეური მემკვიდრეობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული გამოცდილების ცოდნით, პარტიის პოლიტიკის ნათელი გაგებით, კომუნისტური იდეოლოგიის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების დაცვის, საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ მოვლენათა მეცნიერული პოზიციებიდან შეფასებისა და პრაქტიკული მუშაობისათვის სწორი დასკვნების გამოტანის უნარით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის აზრით, კომუნისტთა იდეურ-თეორიული სწავლების გაუმჯობესება პარტიული რიგების შეკავშირების შემდგომი განმტკიცების, მშრომელთა შორის პარტიის წევრთა ავტორიტეტის ამაღლების, პარტიულ ორგანიზაციათა ბრძოლისუნარიანობის გადიდების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, იხელმძღვანელონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით და განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებები კომუნისტთა და უპარტიოთა მარქსისტულ-ლენინური განათლების შემდგომი განვითარებისათვის, სწავლების შინაარსის გამდიდრებისა და მისი თეორიული დონის ამაღლებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, რომ:

— საფუძვლიანად შეითვისონ მარქსიზმ-ლენინიზმის, როგორც ინტერნაციონალური მოძღვრების, ფუძემდებელი პრინციპები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული გამოცდილება, თეორიაში შეტანილი ის შემოქმედებითი წვლილი, რომელსაც შეიცავენ სკკპ ბოლო ყრილობებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და პარტიის სხვა ხელმძღვანელების გამოსვლები, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის დოკუმენტები.

— შეისწავლონ პარტიის თეორია და პოლიტიკა. მათს ორგანულ ერთიანობაში, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირით, სკკპ საერთაშორისო საქმიანობა, იდეოლოგიური ბრძოლა;

— მიღებული ცოდნა გადაიქცეს ადამიანთა აქტიურ სასიცოცხლო პოზიციად, მოქმედების სახელმძღვანელოდ, ჩვენი ხაზოგადოების განვითარების აქტუალურ პრობლემათა გადაწყვეტისას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს პარტიული სწავლებისა და მასობრივი პრომაგანდის მთავარ ამოცანად უახლოეს პერიოდში მიაჩნია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“, „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის 1976-1980 წლების განვითარების ძირითადი მიმართულებებისა“ და სკკპ XXV ყრილობის სხვა მასალების შესწავლა, რაც ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელების ერთ-ერთი წინაპირობაა.

პარტიის XXV ყრილობის მასალების საფუძვლიანად შესწავლის მიზნით 1976-1978 წლებში შემოღებულია სკკპ თეორიისა და პოლიტიკის იმ აქტუალური საკითხების შემსწავლელი კურსები, რომლებიც ყრილობამ შეინიშნავა. პარტიული განათლების სისტემის დაწყებითი და საშუალო რგოლებისათვის დავალებულია შესაბამისი დამხმარე სახელმძღვანელოების მომზადება.

გათვალისწინებულია, რომ შემდგომში ახალი საგნები დაიმატება ამჟამად არსებულ ბასწავლო გეგმებს. დაწყებითს რგოლში შემოღებული იქნება საზოგადოების შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძვლების პოპულარული კურსი, რომელიც მსმენელებს მისცემს წარმოდგენას საზოგადოების ცხოვრების კანონზომიერებათა შესახებ, მარქსიზმ-ლენინიზმის წარმოშობისა და განვითარების, რეალურ სოციალიზმში, მსოფლიო რევოლუციურ პროცესში მისი იდეების განსახიერების შესახებ. საშუალო რგოლის მსმენელთათვის გათვალისწინებულია მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების კურსის მომზადება, რომელშიც მთავარი ყურადღება მოქცევა მოძღვრებას სოციალიზმისა და კომუნიზმის შესახებ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დებულებებსა და დასკვნებს საბჭოთა საზოგადოების განვითარების ახლანდელი ეტაპის შესახებ, მარქსიზმ-ლენინიზმის ინტერნაციონალურ ხასიათს, კომუნისტური პარტიის მიერ მის თანამიმდევრულ განხორციელებას. უმაღლესი რგოლისათვის შემოიღებენ ახალ ხასწავლო კურსებს: განვითარებული სოციალიზმის თეორიასა და პრაქტიკას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიურ, აგრარულ, სოციალურ პოლიტიკას, ცხოვრების სოციალისტურ წესს, საერთაშორისო ურთიერთობათა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ბაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა ადამიანების განათლების თანამედროვე დონის პირობებში, როცა არსებობს საპირო ლიტერატურა, ინფორმაციის მძლავრი ნაშუალებანი, უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს პოლიტიკური თვითგანათლება, როგორც რევოლუციური თეორიის დაუფლების ძირითადი მეთოდი. სწავლების დროს უფრო ფართოდ უნდა ვიყენებდეთ შეცადნების აქტიურ ფორმებსა და მეთოდებს — თეორიულ კონფერენციებს, ხემინარებს, გასაუბრებას, პრაქტიკულ დავალებათა შესრულებას, რეფერატების მომზადებას, სოციალურ-ეკონომიური ანალიზის გაკეთებას.

დადგენილებაში ყურადღება ექცევა იმას, რომ თანამიმდევრულად უნდა ხორციელდებოდეს დიფერენციერებული მიდგომა მარქსისტულ-ლენინური განათლებისადმი, ზუსტად სრულდებოდეს სწავლების საგნისა და ფორმების ნებაყოფლობით არჩევის პრინციპი. ამასთან ერთად უნდა გავაძლიეროთ კონტროლი თავიანთი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისთვის კომუნისტთა მუშობისადმი, აღმოვუხვრათ პოლიტიკური და ეკონომიური სწავლებისადმი აბსტრაქტულ-საგანმანათლებლო და ვიწრო უტილიტარული მიდგომის ფაქტები: უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა კომუნისტი და უწინარეს ყოვლისა ხელმძღვანელები, სისტემატურ მუშაობას თავიანთი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის უსაზღვროდ ეფექტიანი ფორმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა დღესასწაული

მოსკოვში 11 ივნისს გაიმართა მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. სახელმწიფო ცენტრალურ საკონცერტო დარბაზში შეიკრიბნენ შეჯიბრების გამარჯვებულნი და წარმოების ნოვატორები, მეცნიერები, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

შრომაში ახალი მიღწევებით ეგებებიან თავიანთ დღესასწაულს დარგის მშრომელები, აღნიშნა თავის მოხსენებაში სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა ნ. ნ. ტარასოვმა. ისინი ბეჯითად ეძებენ წარმოების შემდგომი განვითარების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების რეზერვებს.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. (საკდესი).

თბილისში, სახელმწიფო ფილარმონიის მცირე დარბაზში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მსუბუქი მრეწველობის საკავშირო დღეს მიეძღვნა.

სხდომა გახსნა საფეიერო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ლაკიამ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა გ. გამცემლიძემ.

სხდომაზე გამოვიდნენ თბილისის წინდის ფაბრიკა „კრწანისის“ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი მ. აბულაძე, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მოწინავე მკერავი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. პისარევა, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის პარტკომის მდივანი ნ. სვანიშვილი და სხვები.

სხდომას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე ო. ივანაშვილი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. გაბუნია, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ი. ხაზარაძე.

(საქინფორმი).

დღენიადაგ ზრუნვა — ვაზს!

ვენახების დათვალიერება

პირველი დღე

გუშინ ვენახების რესპუბლიკური დათვალიერების პირველი დღე იყო. დათვალიერების საერთო მიზანია დროულად აღმოვფხვრათ ყინვისაგან მიყენებული ზიანი, ჩავატაროთ ყველა აგროტექნიკური ღონისძიება, წლეულსვე მივიღოთ ყურძნის მაქსიმალური მოსავალი!

გაზეთის დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ ჩვენი საკუთარი კორესპონდენტებისაგან რაიონიდან მიღებულ მასალებს, ვენახების რესპუბლიკური დათვალიერების შესახებ.

12 ივნისი

გურჯაანი

საზოგადოებრივ მეურნეობებში ერთსულოვნად არიან დარაზმული იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ ვენახების დასარეველიანობა, მავნებელ-დაავადებათა გავრცელება, იქ, სადაც აგრეგატებს უჭირთ ვენახის რიგთაშორისებში შესვლა, კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სპეციალისტები და კანტორის მუშაკებიც კი ზურგზე ამარტმოკიდებულნი ებრძვიან საშიშ დაავადებას — ჭრაქს, ხოლო ქალები მასობრივად არიან გამოსული ვაზის ფურჩვნა-აბვეკის სამუშაოებზე.

ამჟამად რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ყოველდღიურად ვენახების წამლობაზე 210-220 აგრეგატი მუშაობს. ხოლო 650-მდე მშრომელი ზურგის ამარტით ებრძვის ვაზის დაავადებებს.

ვაზს კარგად უვლიან ჩუმლაყის, ვაზისუბნის, ქანდრის, ირაზენდის, ველისციხის კოლმეურნეობების, შრომის მეევნახეობის საბჭოთა მეურნეობის, ეკიპინის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის მშრომელები.

ძნიმე კლიმატურ პირობებში რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების 10.294 ჰექტარზე ჭრაქის წინააღმდეგ პირველი, მეორე და მესამე წამლობა თავის დროზე ჩატარდა, ხოლო ახლა უკვე მეოთხე-მეხუთე წამლობა მიმდინარეობს.

წითელწყაროს

რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მთელი ძალღონით მუშაობენ იმისათვის, რომ წლევანდელ ძნელ პირობებში ყურძნის კარგი მოსავალი მიიღონ.

ზემო ქედის, ჯაფარიძის, ქვემო ქედის, ზემო მაჩხაანის, გამარჯვებისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში ყოველდღიურად ბაიმანის ხსნარით დიდძალ ვენახებს წამლავენ. ხორციელდება ღონისძიებები ყინვისა და სეტყვისაგან დაზიანებული ვენახელის აღსადგენად.

ვენახის წამლობასთან ერთად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მწვანე ოპერაციები. რესპუბლიკის დათვალიერების მონაწილეებზე განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ზემო ქედის კოლმეურნეობის ვენახებმა, სადაც ყველა სამუშაო მაღალხარისხოვნად არის შესრულებული. აქ ვაზს პირველი და მეორე წამლობა აგრონომის დაცვით ჩატარეს. უკვე მიმდინარეობს მესამე წამლობა.

თელავი

ფინაღლის, კურდღელაურის, კინდოლის კოლმეურნეობებში შაბიამნის ხსნარით ყოველდღიურად დიდძალ ვენახებს წამლავენ.

კისისხევის საბჭოთა მეურნეობის 756 ჰექტარი ვენახის შესაწამლავად ყოველდღე 21 აგრეგატი მუშაობს. ვაზის წამლობასთან ერთად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მწვანე ოპერაციები. ამ საქმეში პირველობისათვის ერთმანეთს 400 მევენახე ეჯიბრება.

კისისხეველებმა გადაწყვეტეს წლეულს ისე მოუარონ ვაზს, რომ სახელმწიფოს სულ ცოტა 3.000 ტონა ყურძენი მიჰყიდონ.

მაიაკოვსკი

ყურძნის უხვი მოსავლის მისაღებად კარგად ემზადებიან დიმის სვერდლოვის სახელობის, დაბა მაიაკოვსკისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობების, ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები. დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის მევენახე, სოციალისტური შრომის გმირი გ. მაშანეიშვილი უვლის მოსავლელად მიჩენილ 0,19 ჰექტარ ვენახს. მის ზვრებში სიმეჩხრე აღმოუჩენია, აგროვადებში ტარდება ვენახის წამლობა, მწკრივთა შორის ნიადაგი შუდამ ფხვიერია. წლეულს გმირი მევენახე 4.000 კილოგრამ ყურძენს მოელის.

ვაზს მზრუნველ ხელს არ აკლებენ დიმის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ წელს 8.000 ძირი ვაზი დარგეს, 1500 ძირი კი გადაანერგეს. ბორდოს სითხით ზვრებს მესამედ წამლავენ. ასევე მუშაობენ ვარციხის საბჭოთა მეურნეობაშიც.

კეთილი იყოს თქვენი მოგზაურობა!

ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ქალბატონ ინდირა განდის საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის გამო

საბჭოთა მთავრობის მოწვეით საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით არის ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი.

ინდირა განდი — ინდოეთის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის ჯავაჰარლალ ნერუს ქალიშვილი — დაიბადა ქალაქ ალაჰაბადში (ტარ პრადეშის შტატი). განათლება მიიღო შანტინიკეტანის ვიშვა-ბჰარატის უნივერსიტეტში, რომელიც რაბინდრანათ თაგორმა დააარსა, ავრეთვე შვეიცარიასა და ინგლისში.

1938 წელს ინდირა განდი ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიაში შევიდა. ამ დროიდან მოყოლებული იგი აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ინგლისის კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პერიოდში ინდირა განდი რეპრესიებს განიცდიდა.

როცა ინდოეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, ინდირა განდიმ თვალსაჩინო ადგილი დაიკავა მმართველ პარტიაში — ინდოეთის ეროვნულ კონგრესში. 1955 წელს იგი ამ პარტიის სამუშაო კომიტეტის წევრი გახდა, ხოლო 1959 წელს ამ პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს. ინდირა განდი მონაწილეობს ქვეყნის ბევრი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობაში. 1964 წლის ივნისში ინდირა განდი ინფორმაციისა და რადიომაუწყებლობის მინისტრი გახდა ინდოეთის მთავრობაში, რომელსაც იმ დროს ლ. ბ. შასტრი მეთაურობდა.

1966 წლის 24 იანვარს ინდირა განდიმ ინდოეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა. 1967 წლის თებერვლის, მერე კი 1971 წლის მარტის საყოველთაო არჩევნების შემდეგ იგი კვლავ სათავეში ჩაუდგა ინდოეთის მთავრობას.

მისი ხელმძღვანელობით ბევრი დიდმნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიური ღონისძიება განხორციელდა ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებისა და ინდოეთი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. 1975 წლის 1 ივლისს ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიურ რეფორმათა ახალი პროგრამა გამოცხადდა.

საგარეო-პოლიტიკურ სფეროში მთავრობა, რომელსაც ინდირა განდი მეთაურობს, მიუმხრობლობის, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების პოლიტიკას ახორციელებს.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საქმეშა და ინდოეთის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებაში დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა და ინდოეთის რესპუბლიკამ დადეს 1971 წელს.

ინდირა განდი ბევრჯერ ყოფილა საბჭოთა კავშირში. მისი წინა ვიზიტი საბჭოთა კავშირში 1971 წლის სექტემბერში გაიმართა. ინდირა განდი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად არის არჩეული.

ინდირა განდი თანამიმდევრულად იბრძვის საბჭოთა და ინდოელი ხალხების მეგობრობის განმტკიცებისათვის, სსრ კავშირსა და ინდოეთის ყოველმხრივ თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავებისათვის.

საბჭოთა ადამიანები გულითადად მიესალმებიან მეგობარი ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს და ეუბნებიან: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, პატივცემულო ქალბატონო ინდირა განდი!“

ინდირა განდი სომხეთში

ერევანი, 12 ივნისი. (საკდესი). ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ი. განდი დამისი თანმხლები პირები, რომლებიც აქ იმყოფებიან, დღეს შეხვდნენ სომხეთის კომუნისტური პარტიისა და სომხეთის სსრ მთავრობის ხელმძღვანელებს. მეგობრული საუბრის დროს სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. ს. დემირჩიანმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ა. არზუმანიანმა სიპატიო სტუმარს გააცნეს რესპუბლიკის მიერ ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის მიღწევები.

ინდირა განდიმ, ახალი წარმატებები უსურვა საბჭოთა სომხეთის ხალხს და მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას იმისათვის, რომ შესაძლებლობა მისცა კვლავ ჩამოსულიყო სსრ კავშირში, დიდი კმაყოფილება გამოთქვა მოსკოვში გამართული საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მოლაპარაკების შედეგების გამო. ძალზე კმაყოფილი ვარ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან — ლ. ი. ბრეჟნევთან და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელებთან საუბრებით, ხაზგასმით აღნიშნა ი. განდიმ.

შემდეგ ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ერევანს ეცნობოდა. საბჭოთა სომხეთის დედაქალაქის ათასობით მცხოვრები გულთადად მიესალმებოდა მეგობარი ინდოეთის პრემიერ-მინისტრს.

ინდირა განდის გამოსვლა

„დასმარებას, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს ინდოეთს, კონკრეტულად და მკაფიოდ მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ მზარს უჭერს და სიმპათიით ეკიდება კოლონიური ქვეყნების ბრძოლას არა მარტო პოლიტიკური, არამედ აგრეთვე ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის“, — განაცხადა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ, რომელიც 12 ივნისს საბჭოთა ტელევიზიით გამოვიდა. ჩვენს დროში, თქვა მან, თანამშრომლობა აუცილებელი საჭიროება განდა და ჩვენ მზად ვართ სხვებისაგან ვისწავლოთ ყოველივე სასარგებლო. საბჭოთა კავშირი ჩვენ ფასდაუდებელ დახმარებას გვიწევს მრეწველობის საკვანძო დარგების, სახელმწიფო სექტორის შექმნაში, ინდოელი ხალხი დიდად აფასებს ამას.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, განაგრძო ი. განდიმ, ჩვენ ახალი საზოგადოების მშენებლობისათვის ვიბრძოდით.

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში პირველი ვიზიტის დროს ვიგრძენი საბჭოთა ადამიანების გულთბილობა, მათი ზრუნვა ქალებისა და ბავშვებისათვის, მათი სიყვარული ლიტერატურის, მუსიკისა და ცეკვისადმი, აღნიშნა ი. განდიმ. იმ წლებშიც კი მეცნიერებასა და ტექნიკაში მოპოვებული თქვენი მიღწევები შთამბეჭდავი იყო, ხოლო ბოლო ათწლეულებში საბჭოთა კავშირმა უფრო დიდ პროგრესს მიაღწია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირმა ბევრი ინიციატივა გამოიჩინა დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის ძალების განმტკიცებისათვის, ხაზგასმით აღნშნა ი. განდიმ. ჩვენ, ინდოეთში, სულითა და გულით მივესალმეთ ამ ინიციატივებს. თოთქმის თვითეული საბჭოთა ოჯახის მონაწილეობა ომში, რაც უნდა გმირული ყოფილიყო ეს მონაწილეობა, დაკავშირებული იყო აურაცხელ ტანჯვასა და მსხვერპლთან. სწორედ ამიტომ მშვიდობიანი მისწრაფება თქვენი მსოფლმხედველობის განუყოფელი ნაწილი გახდა. ინდოეთი, რომელიც ესწრაფვის მშვიდობას მოუშრობლობის გზით და ყველა ხალხთან მეგობრობის მომხრეა, თქვენთან ერთად იქნება მშვიდობისადმი თქვენს სწრაფვაში, განაცხადა ი. განდიმ.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ყოველივე საუკეთესო, აკვანება და ბედნიერება უსურვა საბჭოთა ხალხს.

(საკდესი).

მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVII ყრილობა

მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVII ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად 12 ივნისს მოსკოვიდან ულან-ბატორს გაეშგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის თ. დ. კულაკოვის მეთაურობით.

12 ივნისი

„პრავდის“ ფურცლებზე

გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით პარტიული სწავლების ამოცანების შესახებ“, რომელსაც დღეს „კომუნისტის“ ფურცლებზე გაეცნობით.

დღეს ჩვენში, — წერს გაზეთი, — ადრე არნახული მასშტაბის სახალხო-სამეურნეო ამოცანები წყდება, საწარმოებისა და დაწესებულებების, მოქალაქეებისა და სახელმწიფოს, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეთა ურთიერთდამოკიდებულება დღითი დღე მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ხდება. საზოგადოების ეკონომიური ცხოვრების ორგანიზაციაში ძალიან დიდია ოთრიდიული ნორმების როლი, მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის სამართლებრივი რეგულირებისა. უკანასკნელ წლებში, როგორც სკკპ XXV ყრილობამ აღნიშნა, ჩვენი მართლმსაჯულება არსებითად განახლდა, უფრო სტაბილური, უფრო დემოკრატიული გახდა. ამასთანავე აქ ჯერჯერობით ყველა საკითხი არ არის გადაჭრილი და წინ დიდი საშუშაოა. ამის თაობაზე გაზეთის კორესპონდენტს ესაუბრება სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი ვ. ტერებელოვი („სამართალი ხელს უწყობს ეკონომიკას“).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ერთ-ერთ დიდ პავილიონში გახსნილია გამოფენა „ახალგაზრდობის სამეცნიერო, ტექნიკური შემოქმედება“. აქ ათასობით სხვადასხვა ექსპონატია გამოფენილი. რით დავდგავრთ დღეს და რით ვიგლეთ ხვალ“. სწორედ ამაზეა ლაპარაკი ა. საფონოვის წერილში — „მივდგავართ, მივდგავართ, მივდგავართ“.

მკითხველი აქვე ნახავს სოციალისტური შრომის გმირის, ლენინური პრემიის ლაურეატის რ. კარმენის კინომამობილვას — „როგორ არის საქმე იქ, ბამზე?“.

ბევრ ახალ ამბავს შეიტყობთ გაზეთის მეექვსე გვერდზე.

ПРАВДА

სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში

დისციპლინა, წესრიგი! — მუშის თაოსნობას — ინქინრული მხარდაჭერა

სიახლე ფრთებს შლის

□ ინქინერმა ამირან გოგიშვილმა მეტალურგიული ქარხნის ყველა ინქინერ-ტექნიკოსს მოუწოდა ფართოდ დაუჭირონ მხარი მეფოლადე ომარ წითლიძის თაოსნობას.

□ არცერთი დისციპლინის დამრღვევი, არცერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით, მტკიცე დისციპლინა, ორგანიზებულობა შრომის დიდი ნაყოფიერების წყაროა!

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გრძელ ცვლის ბრიგადირის ო. წითლიძის ამხწინანდელ ინიციატივას — არცერთი დისციპლინის დამრღვევი, არცერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით! და მიმართავს ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსებს მის მაგალითზე მეათე ხუთწლედისათვის შეადგინონ პირადი გეგმები და გახანგრძლივონ მომჭირნეობის პირადი ბარათები. თვით ა. გოგიშვილის გადაწყვეტილებაა ხუთწლედში შეიმუშაოს და დანერგოს ექვსი რაციონალიზატორული წინადადება და თავის სამოქმედო უბანში არ იყოლიოს არცერთი დისციპლინის დამრღვევი, არცერთი ჩამორჩენილი, აქტიური დახმარება აღმოუჩინოს ცვლის ორ რაციონალიზატორ-გამომგონებელს.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა საამქროს უფროსი რ. გვარამია, რომელმაც მოწონა ინჟინერ ა. გოგიშვილის ინიციატივა და თავის მხრივ აიღო ვალდებულება შეიმუშაოს ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებითაც საამქროში შეიქმნება მომჭირნეობისა და ყაირათიანობის ფონდი.

საყურადღებო ვალდებულება აიღო მექანიკოსმა ე. ტორნინოვმა. ა. გოგიშვილის ინიციატივას მხარი რომ დაუჭირა, მან წამოაყენა წინადადება უბანში მოისპოს ტექნიკური უსაფრთხოების დარღვევა. ამასთან იგი კისრულობს დანერგოს გამომგონებანი, რომელთა ეკონომიური ეფექტი 20-25 ათასი მანეთი იქნება.

მეგრძმედებმა დაწერეს ბუბარი პარტიულ კრებაზე გადაიტანეს და პარტიული კრების დადგენილებაში ჩაწერეს, რომ ინჟინერ გოგიშვილის ინიციატივის შესაბამისი გააცნონ თვითეულ კომუნისტს, თვითეულ უუშა-მოსამსახურეს. კრებამ დაავალა საამქროს ადმინისტრაციას ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ინჟინერ-ტექნიკოსებს პრაქტიკულად განიხილონ პირადი გეგმები. აქვე, კრებაზე, მიიღეს მიმართვა ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსებისადმი, რომ ყველა ზომა იხმაროს სკკპ XXV და საქართველოს კპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

საამქროს კოლექტივმა, რომელმაც ხუთ თვეში ვალდებულებით ნაკისრი 1.300 ტონის ნაცვლად 1.687 ტონა თუჯი გამოადნო, დამატებით იკისრა ვალდებულება წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვას 500 ტონა თუჯი. აქვე შექმნიან პირობებს, რათა უფრო მჭიდრო მეგობრული კავშირი დამყარდეს ინჟინერ-ტექნიკოსებსა და მუშებს შორის.

ახლა საამქროში ფართო მასშტაბის სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს — კერძოდ, უნდა აშენდეს ახალი საგლინავრაცეო ფაბრიკა, რეკონსტრუქცია უნდა გაუკეთდეს № 2 ღუმელს. ამის შემდეგ მეგრძმედები 55 პროცენტით გაზრდიან თუჯის გამოდნობას, ამასთან მნიშვნელოვნად გაუუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს და 1975 წლისათვის წარადგენენ მას სახელმწიფო ნიშანზე.

— სანიმუშო და მტკიცე დისციპლინის გარეშე, — აბობს ინჟინერი ა. გოგიშვილი, — წარმოუდგენელია მეათე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების განხორციელება. ახარს რომ გუშერ სახელმოხვეჭილი მეფოლადის გრიგოლ ბერეკაშვილის აზრადილ ახალგაზრდა სპეციალისტს ომარ წითლიძეს, მინდა გულახდილად ვთქვა, რომ საერთო წარმატების მოპოვების მთავარი პირობაა სახელმწიფო, შრომის და პარტიული დისციპლინის განმტკიცება, საერთო წესრიგის დამყარება.

და განა მარტო საამქროში ან ქარხანაშია საკმარისი მტკიცე დისციპლინის დამყარება? ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ, რომ ჩვენი დევიზი გავავრცელოთ ქალაქის მასშტაბით.

ინჟინერ ა. გოგიშვილის ინიციატივას ახლა ფართოდ განიხილავენ მეტალურგიული ქარხნის საამქროებში. ინჟინერ-ტექნიკოსები — იშონვნენ მას და თავის მხრივ იღებენ ახალ ვალდებულებებს, პირად გეგმებს.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ვილებ გამოწვევას

მხვნელ-მთესველის სიტყვა მტკიცეა

ერევანში გამოქვეყნდა ჩვენი ქვეყნის ცნობილი მექანიზატორების წერილი ლ. ი. ბრეჟნევისადმი და მისი სიახლეზე წერილი მექანიზატორებისადმი. მექანიზატორები პირობას დებენ, რომ მეათე ხუთწლედის პირველი წლის უხვ მოსავალს დროზე და უდანაკარგოდ აიღებენ. მათ შორის არიან როსტოვის ოლქის ცნობილი მექანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი ნ. ბოჩკარიოვიც.

როსტოველი მექანიზატორის წერილი „კომუნისტში“ ჯერ კიდევ წლეულს 18 თებერვალს დაიბეჭდა. ამ წერილით იგი ქართველ თანამოსაბჭეებს მოუწოდებდა — უხვი მოსავლის მოსაღებად სოციალისტური შეჯიბრება გაეჩაღებინათ.

12 მარტს ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ზემოქედელი მექანიზატორის ნ. მელიქიშვილის წერილი. მან რუსი თანამოსაბჭე სოციშეჯიბრებაში გამოიწვია.

როსტოვის ხოლქო გაზეთ „მოლოტის“ საშუალებით ბოჩკარიოვი გაეცნო მელიქიშვილის გამოწვევას და სიამოვნებით დათანხმდა შეჯიბრობა ქართველ თანამოსაბჭეს. დღეს ვბეჭდავთ როსტოველი მექანიზატორის ნ. ბოჩკარიოვის წერილს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის გულითადობა რჩება-დარიგებამ მოსავლის აღების წინ ჩვენ, დონელი მექანიზატორები აღგვაფრთოვანა, ლეონიდ ილიას-ძის წერილში გამოთქმულია მიწათმოქმედთა სანუკვარი ოცნება, მოცემულია მეათე ხუთწლედის პირველი წლის „დიდი პურისათვის“ ბრძოლის მკაფიო პროგრამა.

ჩვენმა რგოლმა, თავთავიანი კულტურების მოსავალი 3,5 ათას ჰექტარზე უნდა აიღოს და მარცელული ბეღელში გადაიტანოს. შემოდგომასა და გაზაფხულზე კარგად გავისარკვეთ და ღვი ყანაც ხმირი და მაღალი გვაქვს. წინასწარი ვარაუდით, თვითეულ ჰექტარზე 27-28 ცენტნერ მარცვალს მოვიღებთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რეალური შესაძლებლობა გვაქვს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება პირნათლად შევასრულოთ.

ვიკისრეთ „კოლოსის“ ოთხი კომბაინით ხუთწლედის განმავლობაში 325 ათასი ცენტნერი მარცვალი გავლეწოთ. მომავალი ალოობა პირველი სეროიზული გამოცდაა მხვნელ-მთესველთათვის, როგორც ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის წერილში არის ნათქვამი, მოვიწიოთ ახალი ხუთწლედის პირველ წელს მეტი და უკეთესი სოფლის მეურნეობის პროდუქცია — ნიშნავს კარგი დასაბამი მივცეთ მთელ ხუთწლედს.

მოსავლის აღებისათვის ჩვენი რგოლი მზად არის: შედგენილი და ზედმიწევნით დამუშავებულია მომავალი სამუშაოების გეგმა, რომელშიც გავითვალისწინეთ მკის და ფრეზერულის შეგროვების ორცვლიანი ორგანიზაცია, ყველა აგროტექნიკური ხერხის ზუსტი დაცვა. მოსავლის ასაღები ტექნიკა საკმაოდ გვაქვს, მაგრამ, ვადებისა და ხარისხისათვის რომ ვიბრძვინთ, ბოლოდგინეთ ოთხი ჩამოწერილი „სკ-4“ მარკის კომბაინია და მათ სამკელად გამოვიყენებთ. ბორტების ამოღების გზით გავადიდეთ ავტომობილების ტვირთამწეობა და მარცვლის შესანახად ყველა გადახურული გვაქვს ბრეზენტით.

მოსავლის უდანაკარგოდ აღების წარმატებას, როგორც ყოველთვის, ადამიანები წყვეტენ, რომლებიც სრულყოფილად ფლობენ ტექნიკას და მთელ კომპლექსურ აგროტექნიკურ ცოდნას. ჩვენს რგოლში გამოცდილი ოსტატი მექანიზატორები არიან: ი. ავთონიჩევი, ი. ბელოვეი, ნ. ნოგიკოვი, ს. ვერეშჩაკი და სხვები. მათი გამოცდილება და ოსტატობა საშუალებას აძლევს ყოლექტივს სეროიზული ამოცანები დასახონ ხუთწლედში: „კ-700“ მარკის ოთხი ტრაქტორით დაამუშაონ 90 ათასი ეტალონური ჰექტარი სახნავი, ერთიორად გაადიდონ კომბაინების მუშაობის ვადა, დაზოგონ სულ ცოტა 50 ტონა საწვავ-საპოხი მასალები.

როსტოვის ხოლქო გაზეთ „მოლოტის“ ფურცლებიდან შევიტყვე, რომ ჩვენი მეთოდით მუშაობენ და სოციალისტურ შეჯიბრებაში გვიწვევენ ქართველი თანამოსაბჭეები — წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობის მექანიზატორთა ის ბრიგადა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ნ. მელიქიშვილი ხელმძღვანელობს. ერთხმად ვიღებთ ქართველი მექანიზატორების გამოწვევას. იმედი მაქვს ჩვენი შეჯიბრება დიდ ნაყოფს გამოიღებს.

როგორც ვთქვეთ, მოსავლის აღების დაწყებას სავსებით მომზადებული, საუკეთესო განწყობილებით ვხვდებით. მხვნელ-მთესველის სიტყვა მტკიცეა, პარტიის ნდობას გავამართლებთ.

ნ. ბოჩკარიოვი,
როსტოვის ოლქის ცელინის რაიონის სახბჭოთა მეურნეობა „მოსკოვსკის“ კომპლექსური მექანიზებული რგოლის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი.

ერთობლივი ძალებით

„ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის“ პროექტი

ერევანში განიხილეს ოთხტომიანი შრომის „უძველესი დროიდან ჩვენს დღეებამდე ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის“ პროსპექტი. განხილვაში მონაწილეობდნენ თვალსაჩინო მოსკოველი, ლენინგრადელი, ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი ისტორიკოსები.

ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში დიდი წარმატებები მოიპოვა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ — გამოვიდა ბევრი მეცნიერული ნაშრომი, რომლებიც ეძღვნება როგორც სსრ კავშირის, ისე მოძმე რესპუბლიკების ისტორიას. გამოიცა ავრცელებენ, რომლებიც ეძღვნება საბჭოთა კავშირის, ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, დიდი სამამულო ომის საკითხებსა და სხვა პრობლემებს. საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ავრეთვე იმას, რომ შეიქმნას ამერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების რეგიონალური ისტორია, რომლის შედგენაც დაიწყეს ჩვენი ქვეყნის ისტორიკოსებმა. შეჯამა რა ამ დარგში მუშაობის შედეგები, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სსრ კავშირის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ა. ნაროჩნიცკიმ აღნიშნა, რომ სკკპ XXV ყრილობაზე დასახული ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების ამოცანები თანაბრად ეხება მეცნიერებსაც. ამიტომ, თქვა მან, საჭიროა გულდასმით გავაანალიზოთ ეს პროსპექტი, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ მეთოდოლოგიის საკითხებს.

ინფორმაციები წარმოადგინეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა გ. მელიქიშვილმა, ამ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ნ. სტურუამ, აზერბაიჯანის სსრ ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ტ. ნოვრუზოვმა, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა ც. ოლაანმა. მათ დიდი შეფასება მისცეს პროსპექტს, ამასთან გამოთქვეს შენიშვნები, წამოაყენეს წინადადებები.

ახლა საზოგადოებრივ მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები ი. მინცი, ბ. გაფეროვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ი. პოლიკოვი, თურქმენეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ს. ოგაჯანოვი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. ძიძარია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები ი. კოკლიანაშვილი, ა. ნოვოსელცევი, დ. ისმაილ-ზადე, ა. მნაცაკანიანი, ა. ბუზბაშიანი და სხვები. ისინი შეეხნენ პროსპექტში აღძრულ საკითხებს, მრავალ პრობლემას, რომლებიც დაკავშირებულია ამერკავკასიის ხალხთა ისტორიასთან.

შედგა სარედაქციო კოლეგიის, რომლის საანგარიშო მოხსენება წაიკითხა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სსრ კავშირის ისტორიის ინსტიტუტის სწავლულმა მდივანმა გ. ტრაპეზნიკოვმა. თათბირმა მოიწონა პროსპექტი, მიიღო იგი საფუძვლად დიდმნიშვნელოვანი ნაშრომის — „ამერკავკასიის ხალხთა ისტორიის“ შესადგენად.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. დალმაქიანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების ისტორიის სექტორის გამგე ს. ხრომოვი. (არმენპრესი).

თანამეგობრობა

ვოლგოვი... კეთილაძის სახელოგნისა

მოსწავლეთა ინტერნაციონალური და პატრიოტული სულიერებეთი აღზრდის მიზნით ბევრი ღონისძიება ხორციელდება რკინიგზის ზესტაფონის № 7 საშუალო სკოლაში. აქ თქვენ ნახავთ წერილებს, სურათებს, საჩუქრებს, რომლებიც მოსწავლეებმა მოსკოვიდან, ესტონეთის ქ. ელვიდან, ლიტვის ქ. ტაურაგედან, კიევიდან, ფიმიდან, ლვოვიდან, ვოლხოვიდან, ხაბაროვსკიდან აქვთ მიღებული... კავშირი გვაქვს ქუთაისისა და გეგეჭკორის სკოლებთან.

მარტო დაუსწრებელი მოგზაურობით როდი „ბაყოფილდებიან მეგობრები. ამ რამდენიმე წლის წინ ზესტაფონელები ეწვევნენ ესტონეთის ქ. ელვის პირველ საშუალო სკოლას, ესტონელები იყვნენ ჩვენთან. წელს კი გასნაკუთრებით სასიხარულო შეხვედრა ჰქონდათ. ოთხი წლის მიმოწერის შემდეგ ქ. ვოლხოვიდან მოწვეულ 8„ა“ და 8„ბ“ კლასის მოსწავლეები და მასწავლებელთა ერთი ჯგუფი ქ. ვოლხოვში გაემგზავრნენ. ბავშვებმა თან წაიღეს სამამულო ომის ამირის ზესტაფონელი ს. პ. კეთილაძის ეზოს მიწა, დაფნის გვირგვინი და ყვავილები.

ვოლხოვის ვაგზალზე რკინიგზის № 62 სკოლის ყველა მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი დაგვხვდა. კურსი ჯერ სკოლისაკენ ავიღეთ, გაგვიხარდა, როცა სკოლის ფასადზე დავინახეთ წარწერა „ვოლხოვის 62-ე საშუალო სკოლის პიონერული რაზმეული ს. პ. კეთილაძის სახელობისაა“.

მცირე ხნის შესვენების შემდეგ სტუმრებიც და მასპინძლებიც გმირის საფლავისაკენ გაემგზავრეთ. შესანიშნავად მოწყობილი და მოვლილი დაგვხვდა „გმირთა სავანე“. თვალცრემლიანმა ქართველმა ბავშვებმა გმირის საფლავს მშობლიური მიწა დააყარეს, საფლავზე ყვავილებთ და დაფნის გვირგვინით შეამკეს.

მეორე დღეს სკოლაში ვაიმართა ბენეფისი, ეს იყო ინტერნაციონალური საღამო, სტუმარ-მასპინძლები გულთბილად მიესალმნენ ერთმანეთს. მოსწავლეებმა რუსულ და ქართულ ენებზე შეასრულეს სიმღერა — „დაე მუდამ იყოს მზე“. შემდეგ ზესტაფონელებმა დაათვალიერეს რკინიგზის პროფტექნიკუმის კაბინეტ-ლაბორატორიები, საერთო საცხოვრებელი. ბოლოს ლენინგრადის ღირსშესანიშნავი ადგილები მოინახულეს.

ვოლხოვის რკინიგზის 62-ე და ზესტაფონის რკინიგზის № 7 საშუალო სკოლების მერვეკლასელმა მოსწავლეებმა სოციალისტური შეჯიბრების მუხლები ერთად შეადგინეს.

ახლახან მივიღეთ წერილები ვოლხოვიდან, გვატყობინებენ: დაიამთავრეთ თუ არა მეხუთე შრომითს მეოთხედს, გადაწყვეტილი გვაქვს ზაფხულის არდადეგების დარჩენილი დღეები თქვენთან ერთად საქართველოში გავატაროთო. თავდადებით, ენერგიულად იმუშავებენ ჩვენი სკოლის მოსწავლეები ნორჩი ტყის გაშენებისა და მოვლა-პატრონობისათვის. ვალმოხდილი შეხვდებიან საყვარელ სტუმრებს, და სოციშეჯიბრების შედეგებსაც შეამოწმებენ.

ც. მელაძე,
ა/კ რკინიგზის ზესტაფონის № 7 საშუალო სკოლის ორგანიზატორი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.

მკითხველთა კალმით

ქეთილი საქმენი

თბილისი. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობთა ბრიგადა ირ. როსტაშვილის ხელმძღვანელობით ეწევა ყაზარის ზამთრის საძოვრებიდან მომავალ მეცხვარეებს. იმერის ხიდთან და სტანციაზე ვაზნესესაიასთან მათ კონცერტები გამართეს. მწყემსები ძმაყოფილნი დარჩნენ მსახიობთა სტუმრობით.

გ. ამილახვარი.

მახარაძე. სოფელ მახარაძის კოლმეურნეობის გამგეობამ და პროფკავშირის კომიტეტმა სოფლის მშრომელებისათვის ქ. მოსკოვში ექსკურსია მოაწყეს.

კოლმეურნეებმა დაათვალიერეს დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები: იყვნენ ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე და ახალი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ მშობლიურ სოფელში.

გ. ლლონტი.

ზუგდიდი. ენგურქაღალდკომბინატის ტერიტორიაზე გაახსნა ახალი სასურსათო მაღაზია, რომელსაც აქვს ხორცის, თევზის, მინერალური წყლებისა და რძის ნაწარმის განყოფილებები.

ბ. ალშიბაია.

ცხინვალი. ნ. კრუპსკაიას სახელობის საოლქო ბიბლიოთეკამ მოაწყო წიგნების გამოფენა. მკითხველთა ყურადღების ცენტრში იყო საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის ი. პლიეევის წიგნი „ომის გზაზე“.

ც. კაანიაშვილი.

თელავი. დღითიდღე კეთილმოწყობილი ხდება სოფელი აკურა. ამასწინათ აქ 140 ბავშვისათვის ახალი ორსართულიანი საბავშვო ბაღა-ბაღი გაიხსნა.

მშრომელთა სამსახურში ჩადგა აგრეთვე 200-ადგილიანი ახალი სატელეფონო ავტომატური სადგური, რომელიც აკურის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფელ ვანთის მშრომელებსაც მოემსახურება.

გ. ნეგუნიშვილი.

ჩხოროწყუ. მეორე საშუალო სკოლის პიონერებმა ამანათი და წერილი გაუგზავნეს ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე ძმებს — ბონდო და ვიტა სოლდიებს, რომლებიც სოფელ ქვედა ჩხოროწყუს მკვიდრნი არიან.

მალე ნია-გრუზინსკაიადან პასუხიც მოვიდა:

„ჩვენო პიტარა მეგობრებო! თქვენი სახელი ჩვენს ალბომში ჩაეწერეთ... დაწერილებით მოგიწერეთ თქვენს საქმიანობაზე, მოიწერეთ, რა გაინტერესებთ სოფლიდან? ამ ბამს და ჩვენი დამის — ნია-გრუზინსკაიას შესახებ“.

ი. ნაჟეიბია.

ახალქალაქი. შვიდ წელზე მეტია, გიორგი ოქროაძის ოთხკილომეტრიან გზაზე სოფელ ოკამიდან ქრილებამდე ახალი ასფალტ-გაზეთები, ამანათები და ფოსტალიონები ფოსტაზე.

მის გამოჩენას ყოველ დილით მოუთმენლად ელიან სოფელში. მათ უყვართ გულისხმიერი, დაუზარელი ქეთილი მაცნე და დღეგრძელობას უსურვებენ ფეხბეჯნიერ ფოსტალიონს.

ა. მელიქიძე.

საგარეჯო. სოფელ კაკაბეთში კარგი საჩუქარი მიიღო: ახლახან აქ ანთხსნა თვითმომსახურების ახალი უნივერსალური სამრეწველო მაღაზია. ვრცელ და ნათელ დარბაზში განლაგებულ სექციებში მომხმარებელს სთავაზობენ როგორც სამეურნეო იარაღებიც, ისე ტანსაცმლისა და ქსოვილებს ფართო ასორტიმენტს.

ასეთივე მაღაზია აშენდება სოფელ კოპბაანში. ხოლო სოფელ წყაროსთავში მწყემსრში ჩაგება ავტონაწილებას სარეალიზაციო პავილიონი.

თ. გაგელაშვილი.

ეს მისაბაძია!

ქალაქელი მეგოსტნეები

ეს თაოსნობა ჯერ კიდევ 1974 წელს დაიბადა. ვეტერანმა კომკავშირელმა, საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტთან არსებული „ქალთა შორის მუშაობის საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ქუჩულორიამ ერთერთ საბჭოს სხდომაზე განაცხადა: — კარგი მოსტანი დიასახლისის ღირსების საქმეა! ჩვენს სუფრას ახლადმოკრეფილი ქორფა კიტრი, პამდორი, ბოლოკი. ხახვი, ოხრახუში, პრასი, წიწმატი, მწვანე ლობიო, ბადრიჯანი და სხვა მწვანილი და ბოსტნეული უნდა ამშვენებდეს. მაგრამ ჩვენთან დღემდე ასე როდია, ბაზარზე ეართ დამოკიდებული და მწვანილს მეტ ფასად ეყიდულობთ. ეს იმ დროს, როცა ჩვენს საკარმიდამო ნაკვეთებზე წლის ყოველ დროს, ზამთარ-ზაფხულ შეიძლება გვქონდეს საკუთარი წარმოების მოსტნეული.

ავიღოთ ინიციატივა, გამოვაცხადოთ კონკურსი, რომ ვისაც ქალაქ ზუგდიდში საკარმიდამო ნაკვეთი აქვს, ოჯახი უზრუნველყოს საკუთარი წარმოების მოსტნეულით.

თ. ქუჩულორიას ეს წინადადება ამხანაგებმა მოიწონეს. გამოცხადდა კონკურსი, რამაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა. საჭირო მოსტნეულით წლის განმავლობაში ოჯახის უზრუნველყოფა კეთილ დიასახლისმა, ინჟინრებმა, მასწავლებლებმა, ექიმებმა, ყველა პროფესიის ქალებმა.

ბევრმა ისეთმა დიასახლისმა, რომელსაც დამზმარე მეურნეობა ფუქად ჰქონდათ მიტოვებული, ხელში ბარი და ოთხი აიღო და კარგი მოსტანი მოიწყო. ახლა მათ უწინდებურად ბაზარში არ უხდებათ საარული მოსტნეულის საყიდლად. მოსტნეული უხვად აქვთ წლის ყოველ დროს.

რას აკეთებენ წლეულს მოსტნეულის უხვი მოსავლის მოღებისათვის? ზუგდიდელი ინიციატორები? ქალაქის ქუჩებში მაღალ ბოსტნეულ ბოსტნეულ ბოსტნეულ

სტოკჰოლმის მოწოდების მხარდასაჭერად

მხატვარი
ბ. ლომაძე.

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფმა, რომელშიც გაერთიანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ყველა დეპუტატი, გააკეთა განცხადება. განცხადებაში საპარლამენტო ჯგუფი ერთსულოვნად იწონებს და მხურვალედ უჭერს მხარს სტოკჰოლმის მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის სექციაზე მიღებულ მოწოდებას შეუღალ გამალებული შეიარაღება, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება გახდეს შეუქცევადი, უზრუნველყოს მტკიცე მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა პარლამენტარებს, ნათქვამია განცხადებაში, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი აქტიურად შეუწყონ ხელი მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამას, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ მიიღო და რომლის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია ბრძოლა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის.

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფი მოუწოდებს ყველა ქვეყნის პარლამენტარებს, აგრეთვე საპარლამენტთაშორისო კავშირს გამოეხმაურონ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს კეთილშობილურ მოწოდებას და აქტიური უშუალო მონაწილეობა მიიღონ გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის სტოკჰოლმის ახალი მოწოდების მხარდაჭერის მასობრივ კამპანიაში, რომელიც ახლა გაჩაღდა.

(საკდესი).

მშვიდობისა და უშიშროებისათვის

საზღვარგარეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მსოფლიო პრესის გამოჩენილი მიმომხილველნი განმარტავენ მოსკოვში დამთავრებულ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის უმაღლესი დონის მოლაპარაკებას და გამოაქვთ დასკვნა, რომ შეიქმნა ახალი ხელშემწყობი პირობები ამ ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი გაღრმავებისა და სრულყოფისათვის. გამოქვეყნებულ განცხადებებში, სტატიებსა და კომენტარებში ხაზგასმულია, რომ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობა აზიისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მძლავრი ფაქტორია.

აღნიშნავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ინდირა განდის ერთობლივ გადაწყვეტილებას, რომ სსრ კავშირი და ინდოეთი კვლავაც გაუფრთხილდებიან ერთმანეთს, ერთობლივად იარაღლებენ დაძაბულობის შენელების განმტკიცებისა და გაფართოებისათვის, შეუქცევად პროცესად გადაქცევისათვის.

დელი. ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. განდის მიერ მოსკოვში წარმოთქმულმა სიტყვებმა კვლავ დაადასტურა, რომ ორი ქვეყანა ერთნაირ პოზიციებს ადგას დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებში. ეს საკითხებია: განიარაღება, საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება ქვეყნად მშვიდობისა და უშიშროების დამკვიდრების საკითხთან დაკავშირებულ ინდოეთის პრესის სპეციალისტი **ინდია პრეს ეიჯენსი.** დიდი მნიშვნელობა აქვს, ხაზს უსვამს საადგენტო, იმას, რომ მოლაპარაკების პროცესში დადასტურდა ერთობლივი გადაწყვეტილება — ყოველნაირად განმტკიცონ მისწრაფება დაძაბულობის შენელების იმ პროცესის განმტკიცებისადმი, რომელსაც წარუვალი მნიშვნელობა აქვს ყველა ქვეყნის ხალხებისათვის.

ინდოეთისა და სსრ კავშირის განუყრელი მეგობრობის ქვაკუთხედია არა მარტო ურთიერთხელსაყრელი, თანასწორუფლებიანი ეკონომიური და სვავერო თანამშრომლობა, არამედ ინტერესების ერთიანობაც მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების, კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, წერს ჟურნალ **„ლინკის“** ფურცლებზე „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი, ინდოელ ქალთა ეროვნული ფედერაციის, თავმჯდომარე არუნა ასაფ ალი. ეს კიდევ ერთხელ დამაჯერებლად და ხაზგასმით აღინიშნა სიტყვებში, რომლებიც ლ. ი. ბრეჟნევმა და ინდირა განდიმ წარმოთქვეს კრემლში გამართულ საღამოზე.

ბერლინი. მოსკოვში გამართული მოლაპარაკება, წერს **„ნოიეს დოიჩლანდი“,** მოწმობს, რომ ხელშეწყობი წინაპირობებია შექმნილი საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის შემდგომი გაღრმავებისათვის. მოლაპარაკების მონაწილეებმა საერთაშორისო პრობლემების განხილვისას ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ხელი შეუწყონ დაძაბულობის შენელების პროცესის თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების განვითარებას.

ჟენევა. აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების პროცესის დაკლება, აღნიშნავს ჟენევაკორეული **„ჟურნალ დე ჟენევი“,** იმით აიხსნება, რომ მას აუმხიერდნენ საერთაშორისო თანამშრომლობის მოწინააღმდეგენი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი ებრძვის ამ ნეგატიურ მოვლენას და კვლავაც იცავს წინ მშვიდობის პროგრამით განსაზღვრული გზით.

ტოკიო. გაზეთ **„ასახი“** ასევე მიაყრობს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ლ. ი. ბრეჟნევი აკრიტიკებს დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეებს, მეტადრე იმათ, ვინც ბერავს სამხედრო ბიუჯეტებს, აჩქარებს კიდევ უფრო დამაშრეველ სახეობათა იარაღის შემუშავებას.

(საკდესი, 12 ივნისი).

ᲙᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲓ

ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ

ლისაბონი, (საკდესი). დღეს პორტუგალიაში ოფიციალურად იხსნება წინასაარჩევნო კამპანია, რომელიც ორ კვირას გაგრძელდება და დამთავრდება 27 ივნისს, როცა აირჩევენ რესპუბლიკის პრეზიდენტს, არჩევნებში მონაწილეობს ოთხი კანდიდატი — სახმელეთო ჯარების მთავარი შტაბის უფროსი, გენერალი ანტონიო რამალიუ ეანეში, ახლანდელი პრემიერ-მინისტრი, ვიცე-ადმირალი პინეირუ დი აზევედუ, პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისიის წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი ოქტავიუ როდრიგეშ პატუ, აგრეთვე მაიორი ოტელუ სარაივა დი კარვალიუ.

წლევანდელი არჩევნების ყველაზე დამახასიათებელი ასპექტი ის არის, რომ ოთხივე კანდიდატის წინასაარჩევნო მანიფესტები აცხადებენ, რომ საჭიროა დაიცვან და უთუოდ შეასრულონ პორტუგალიის იმ ახალი კონსტიტუციის დებულებები, რომელშიც განმტკიცებულია ფაშისტური დიქტატურის დამხობის შემდეგ პორტუგალიელი ხალხის მიერ მიღწეული ძირითადი დემოკრატიული მონაპოვრები.

ახალი კონსტიტუციის პროგრესულ ხასიათს ცხადყოფს ის გარემოებაც, რომ მასში, სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა კონსტიტუციებისაგან განსხვავებით არის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებს უახლოეს წლებში პორტუგალიის სახოკიალდემოკრატიულ-პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების „სოციალისტურ ორიენტაციას“.

პორტუგალიელი კომუნისტები, რომლებმაც თავიანთ კანდიდატად დაასახელეს ნაცადი ანტიფაშისტი მებრძოლი, კომპარტიის გამოჩენილი მოღვაწე ოქტავიუ როდრიგეშ პატუ, არჩევნებში მონაწილეობენ კონსტიტუციის, დემოკრატიული თავისუფლებებისა და პორტუგალიელი ხალხის რევოლუციური მონაპოვრების ნაციონალიზაციის, აგრარული რეფორმის საწარმოებში მუშათა კონტროლის დაცვის ლოზუნგებით.

ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘ

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის ფურცლები

მეობრობამ მაღალი არ იცის. ხომ ძალზე შორსაა რუსთაველიდან ინდოეთი, მაგრამ „ფოლადკონსტრუქციის“ სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელს გიორგი მიქაძეს რომ კითხოთო, გეტყვით: ხულ ახლოს არის, ჩემს გულთან. რატომ? გიორგის ამის საფუძველი აქვს. იგი ხშირად იღებს წერილებს, რომელთა კონვერტებზე აღნიშნულია: „ინდოეთი, მადპია პრადეშის შტატი, ქალაქი ბჰილაი“.

მერე რა გულთბილად სწერენ მას ძველი მეგობრები: გურჯარა, ჩოუდრი და სხვები, რომლებთანაც ერთად მრავალი წლის მანძილზე ინდოეთის ინფუსტრიის გიგანტის — ბჰილაის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე მუშაობდა.

გიორგი გამონაკლისი არ არის. ბჰილაის მშენებლობის პირველი დღეებიდანვე იქ ჩავიდა რუსთაველ ინჟინერთა და მუშათა ჯგუფი, რომელსაც ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ ყოფილი მთავარი ინჟინერი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ნიკოლოზ ლობოცკი ხელმძღვანელობდა. ჯგუფში შედიოდნენ წამყვანი სპეციალისტები: მამუკა მინდელი, ისონ გუმბერიძე, თენგიზ ტიმოფეევი, პლატონ ჭიკაბერიძე და სხვები. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში კვალიფიკაცია აიმაღლეს ინდოელმა მეტალურგმა ინჟინრებმა. რუსთაველი მეტალურგები ინდოეთს უგზავნიან მილებს, ფოლადის ფურცლებს, სხვა პროდუქციას.

ბჰილაის მეტალურგიული ქარხნის ერთ-ერთი მშენებელია მამუკა მინდელი. მან იქ ორ წელზედ იმუშავა, მრავალი მშენებელი მეგობარი გაიჩინა, რომლებთანაც მიმოწერაც აქვს.

25 წელზე მეტია რუსთავში მშენებელი ინჟინერი ისონ გუმბერიძე შრომობს და მოღვაწეობს. მას სხვებთან ერთად ხვდა პატივი აქტიური მონაწილეობა მიეღო ბჰილაის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაში. იქნა წელს მუშაობდა იქ.

— პირველად რკინიგზის ლინდაგები გავვყავდა, — ამბობს ისონი, — შემდეგ საგლინავი საამქროს მშენებლობის კომპლექსის უფროსად დამნიშნეს და ინდოელები აგუჯა, სუბრაუ, ნაჯაფი, სანგერა და სხვები ჩამბარეს. ჩვენ ერთად ვაშენებდით გიგანტური საამქროების კორპუსებს. გულახდილად გეტყვით, ინდოელები აღლოიანი და ნიჭიერი მუშაკები გამოდგნენ. ისინი საბჭოთა სპეციალისტების ცოდნასა და გამოცდილებას სწრაფად ითვისებდნენ. შემდეგ აგუჯამ ჩაბარა ჩემგან ერთ-ერთი საამქრო. ჩვენი მეგობრობა დღესაც გრძელდება. აგუჯა ამჟამად ბჰილაის მეტალურგიული კომბინატის მთავარი ინჟინერია და ამ დიდ საქმეს წარმატებით ართმევს თავს.

აი რა გვიამბო რუსთავის საბრძმედი საამქროს შემკეთებელი უბნის უფროსმა ნოდარ მაისურაძემ:

— პირველად ინდოეთში 1968 წელს ჩავედი. ბჰილაის მეტალურგიული ქარხნის მთავარ მექანიკოსის კონსულტანტად დამნიშნეს. ბუნებრივია, ახალ გარემოში, უცნობ ხალხთან მუშაობა პირველად ერთგვარ სირთულეს ქმნიდა. მაგრამ იმ დღეებში ჩემმა მეგობარმა და კოლეგამ მამუკა მინდელმა, რომელიც იქ თითქმის ორ წელიწადს მუშაობდა, მრავალი მეგობარი გამაცნო.

რაჯ-პატხი — დელის ცენტრალური-მაგისტრალი.

მე ძალზე გამახარა იმან, რომ ინდოელები დიდ პატივს სცემდნენ ჩემს თანამემამულეს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ბრძმედების ამუშავების საქმეში, ხშირად ბრძმედების ღუმელების შკიკთების სამუშაოებს ეხელმძღვანელობდი ხოლმე. მხარში მედგნენ ინდოელი მეგობარი სპეციალისტები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერებს მჭიდრო კონტაქტები აქვთ ინდოეთის გეოგრაფიული საზოგადოების, ინდოეთის ეროვნული ატლასის დეპარტამენტის (კალკუტა) კოლეგებთან. ამ დეპარტამენტს სათავეში უდგას თვალსაჩინო გეოგრაფი, პროფესორი შაბა პრასად ჩატარჯი. ქართველი და ინდოელი სპეციალისტები ერომანეთს უზიარებენ გეოგრაფიის სამეცნიერო ლიტერატურის სიახლეებს, რეფერატებს, რომლებშიც ასახულია ორი ქვეყნის წარმატებები კავკასიისა და ინდოეთის ნახევარკუნძულის გეოგრაფიის სხვადასხვა ასპექტის შესწავლის დარგში.

საქართველოსა და ინდოეთის სამეცნიერო დაწესებულებებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას ბევრად შეუწყო ხელი ამ ორი ქვეყნის სპეციალისტთა პირადმა კონტაქტებმა. არც ისე დიდი ხნის წინათ ქართველ მეცნიერებს ესტუმრა პროფესორი შაბა პრასად ჩატარჯი. საქართველოს მეცნიერებმა დაწვრილებით გააცნეს, თუ როგორ არის დაყენებული რესპუბლიკაში მეცნიერული კვლევა გეოგრაფიის დარგში, ესაუბრნენ საქართველოს ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი გეოგრაფთა კომპლექსური ექსპედიციების სამუშაოების შედეგების შესახებ, რაც ხელს უწყობს იმას, რომ პრაქტიკაში სწრაფად დაინერგოს მეცნიერული მიღწევები, თავის მხრივ ინდოელმა სტუმრმა ქართველ კოლეგებს წაუკითხა მოხსენებები ინდოეთში გეოგრაფიის მეცნიერების განვითარებისა და მიღწევების შესახებ. მალე გეოგრაფთა ქართული სკოლის წარმომადგენლები პირადად ეწვივნენ ინდოეთის რამდენიმე გეოგრაფიულ-სამეცნიერო დაწესებულებას. კალკუტაში გაიმართა XXI საერთაშორისო გეოგრაფიული კონგრესი, რომელზეც მოხსენებები წაიკითხეს გეოგრაფიის ინსტიტუტის [illegible] ბა, საქართველოდან [illegible] ინდოეთის აკადემიის აკადემიკოსმა თეიფანე ბაგინიანმა, პროფესორმა გიორგო ზარანდიამ. ქართველი [illegible] ინდოეთში. [illegible] ბა-ზარანდიას [illegible] ინდოეთში [illegible] მიწის კლიმატის შეკვლაზე, აგრეთვე კავკასიის მყინვარების რეჟიმის შესწავლისა და მთელი რიგი სხვა ბუნებრივი მოვლენების შესახებ. ინდოელი სპეციალისტები დაინტერესდნენ ქართველ სპეციალისტთა ნაშრომებით, რომლებიც კავკასიის ლანდშაფტისა და მყინვარების შესწავლას, აგროკლიმატური პროგნოზების დარგში გაწეულ კვლევას ეძღვნება. ინდოეთისა და საქართველოს ურთიერთობა ოდითგანვე კარგი რომ იყო, ამას ადასტურებს წარსულში ცნობილი ქართველი მოღვაწეის რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა ინდოეთში, რომლის შესახებ ჩვენში გამოიცა წიგნი და იგი უკვე დიდად პოპულარულია ინდოეთშიც. საქართველოსა და ინდოეთის მეცნიერული საქმიანი და მეცნიერული კონტაქტები უახლოეს მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდება.

საქართველოს სახალხო არტისტმა, ცნობილმა კომპოზიტორმა შალვა მშველიძემ შექმნა რომანსები, რომლებიც ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის პრემიის ლაურეატის, პოეტ აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის ლექსებზე დაიწერა. ეს ლექსები ინდოელ პოეტ ქალს ამრიტა პრიტამს ეძღვნება. სწორედ პოეტის ლექსებმა შთააგონა კომპოზიტორს შექმნა სიმღერების ციკლი ინდოეთზე.

ახლა ჩვენს რესპუბლიკაში ხშირად ეღერს მისი „ინდური სიუიტა“. ამ ნაწარმოებისა და ინდური ხალხური მუსიკის გამაკვლევების სერიისათვის კომპოზიტორს ჯავაჰარლალ ნერუს პრემია მიენიჭა.

„ინდური სიუიტა“ კომპოზიტორის პოპულარული ნაწარმოებია. იგი მოსკოვის, მოკავშირე რესპუბლიკების საშემსრულებლო კოლექტივების რეპერტუარში შედის, წარმატებით სრულდება აგრეთვე დელიში, კალკუტაში, შადრასში, ბომბეიში.

კომპოზიტორი ორჯერ იყო მეგობარ ინდოეთში. უძველესი კულტურის ქვეყნის ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, მუსიკოსებთან, პრემიერ-მინისტრ ინდირა განდისთან ბეჭდოთბილი შეხვედრები მარად დარჩება მის მეხსიერებაში. ინდოეთი, მისი შრომისმოყვარე და ნიჭიერი ხალხის შრომა და ცხოვრება ამ გამოჩენილი შემოქმედის შთაგონების დაუშრეტელი წყარო იქნება მუდამ.

პოეტ აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის შემოქმედებაში ინდურ თემას საპატიო ადგილი უჭირავს. მის კალამს ეკუთვნის ლექსების ციკლი ინდოეთზე და მხატვრულ-პუბლიცისტური ნარკვევი „ინდოეთის“ გზებზე“. აქ საოცრად პოეტურად, მიმზიდველად და შთამბეჭდავად არის ასახული აზიის ამ დიდ ქვეყანაში მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილებები. პოეტმა ინდოეთში იმოგზაურა, რომ მონაწილეობა მიეღო მწერალთა საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც დელიში გაიმართა.

ინდოეთიდან დაბრუნების შემდეგ პოეტის მეხსიერებაში ნანახი და განცდილი გაცოცხლდა, პოეტურ სტრიქონებად ჩამოისხა და მკითხველის გულისაკენ დაიძრა.

ინდოეთზე შექმნილი ლექსების ციკლისათვის ირაკლი აბაშიძეს ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის პრემია მიენიჭა.

საბჭოთა და ინდოელ ხალხთა ძმობა და მეგობრობა გრძელდება. მარად ცოცხლობს მეგობრობის ფესვები. იგი ხარობს, იზრდება და სასურველ ნაყოფს ისხამს. ამ მეგობრობის მეპატრონე კი ჩვენი დროა...

გ. თევზაძე.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲝᲙᲚᲘᲡ“ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ

ნლეულს ინდოეთში ფართოდ აღინიშნა ინდირა განდის პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშვნის 10 წლისთავი. განვლილ ათ წელიწადში ინდოეთმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია: მარცვლეულის წლიური წარმოება 72-დან 104 მილიონ ტონამდე გაიზარდა, ხარწყავი მიწების ფართობი — 27-დან 32 მილიონ ჰექტარამდე, ნავთობის მოპოვებამ 8-დან 7,2 მილიონ ტონას მიაღწია. ამ წლების განმავლობაში ეროვნული შემოსავალი ორჯერ გაიზარდა, ხოლო ექსპორტი — სამჯერ. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ინდოეთში მოხდა სერიოზული სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები, რომელთა მიზანი იყო სახელმწიფო სექტორის განმტკიცება ეკონომიკაში (ამჟამად სახელმწიფო სექტორში 120 დიდი წარმოებაა) და მონოპოლისტური კაპიტალის მოქმედების სფეროს შეზღუდვა. ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესებამ მოსახლეობის ცხოვრების დონეც აამაღლა.

გაიზარდა ინდოეთის საერთაშორისო ავტორიტეტი. 1971 წელს დაიდო საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება. 1973 წელს ინდოეთს ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

მეგობარი ქვეყნის ცხოვრებაში ყოველდღე ახალი შტრიხები ჩნდება. სწორედ ერთი ასეთი შტრიხის შესახებ მოგვითხრობს საკდესის დელიელი კორესპონდენტი რ. გლადკიხი.

ინდოეთის დედაქალაქიდან სამხრეთით დაახლოებით 15 კილომეტრზე, იქ, სადაც მდინარე ჯამუნა დელისა და უტარ-პრადეშის შტატის საზღვარს კვეთს, მსხვილი სამრეწველო-საქალაქო კომპლექსის „ახალი ოკლის“ მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო. ბულანდშაჰრის (უტარ-პრადეშის შტატი) ეკონომიურად ჩამორჩენილ ოლქში ხუთი წლის შემდეგ ამიმართება სამრეწველო საწარმოთა შენობები, აშენდება სამანკო და დამზღვევი დაწესებულებები, მუშათა და მოსამსახურეთა საცხოვრებელი კომპლექსები, ამისათვის სახელმწიფომ ას მილიონ რუპიაზე მეტი გამოყო. მშენებლობის რიგში ასობით დამპროექტებელი, არქიტექტორი, ინჟინერ-მშენებელი, მუშა გაეგზავნა, მოდის სამშენებლო ტექნიკა.

— ამ დიდი კომპლექსის შექმნით, რომელიც მომავალში ინდოეთის ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთ ასეთ ბოლოდროინდელ ... ...

ჩეხოსლოვაკია-საქართველოს ურთიერთობისათვის

მეგობართა წიგნები

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში გაიხსნა ჩეხოსლოვაკური წიგნის გამოფენა, რომელიც ჩეხოსლოვაკიის შიდასავაჭრო გაერთიანება „არტიამ“ მოაწყო.

გამოფენაში ჩეხოსლოვაკიის მრავალი გამომცემლობა იღებს მონაწილეობას. მათ შორის „ორბისი“, „ჩეხოსლოვენსკი სპისოვატელი“, „სვობოდა“, „არტია“, „პრესფოტო“, „ნოვენარკი“, რომლებიც გვთავაზობენ ხუთას ოცდაათზე მეტი დასახელების წიგნებს, გრამფირფიტებს, კატალოგებს.

ექსპოზიციაში წარმოდგენილია პოლიტიკური, ეკონომიური, სამეცნიერო-ტექნიკური, პედაგოგიური, მხატვრული და სბავშვო ლიტერატურა. ყურადღებას იპყრობს მსოფლიო სახვითი ხელოვნებისადმი მიძღვნილი განყოფილება.

საბჭოთა მკითხველისათვის კარგად ცნობილი კ. ჩაპეკის, ი. გაშეკის, ა. ირასეკის გვერდით გვხვდება ჩვენი ჩეხი მეგობრების მიერ ნათარგმნი ჟულ ვერნისეული ნაწარმოებები: ლ. ტოლსტოის, ო. დოსტოევსკის, ი. კრილოვის, მ. გორკის, მ. შოლოხოვის [illegible] მიხალკოვის წიგნები.

იზრდება საქართველოდან ჩეხურსა და სლოვაკურ ენებზე ნათარგმნი წიგნების რიცხვი. გამოფენის ერთ-ერთი სტენდი ეთმობა სულხან-საბა ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის, მიხ. კავახიშვილის, ლ. ქიაჩელის, გრ. აბაშიძის, ო. იოსელიანის, თ. დონდუაშვილის, თ. ჭილაძის ნაწარმოებთა ჩეხოსლოვაკურ გამოცემებს.

გამომცემლობა „არტია“ მსოფლიოს მრავალ ქვეყანას აცნობს ეროვნულ კულტურას. ყოველწლიურად ამ გამომცემლობიდან საბჭოთა კავშირში 110 ათასი ეგზემპლარი წიგნი შემოდის.

ამ სახის გამოფენებს გაერთიანება „არტია“ ყოველწლიურად აწყობს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში. ჩეხურსა და სლოვაკურ წიგნებს უკვე გაეცნენ კიევის, რიგისა და მოსკოვის მცხოვრებნი. საქართველოში კი „არტიამ“ პირველად მოაწყო თავისი წიგნების ექსპოზიცია.

გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით საზოგადოების შენობაში შეიკრიბნენ ფდაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. გამოფენა გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. თავაძემაშვილმა. სტუმრებს მიესალმნენ: ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელო ქარხნის ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. ჯოხაძე, პოეტი ხ. ბერულავა, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის წევრი ლ. ნიკურაძე.

გაერთიანება „არტიის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ ი. სვობოდამ მადლობა გადაუხადა მასპინძლებს გულთბილი მიღებისათვის. მან იმედი გამოთქვა, რომ ქართველი და ჩეხოსლოვაკიელი ხალხები უფრო ფართოდ გაუზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას მეცნიერებისა და კულტურის სფეროში.

გამოფენა „წიგნი — მსოფლიო პროგრესის სამსახურში“ 15 ივნისამდე გაგრძელდება.

ნ. თათარაშვილი,
თსუ ჟურნალისტიკის განყოფილების მეოთხე კურსის სტუდენტი.

ნორჩი მოცეკვავეები. ს. კილაძის ფოტო.

სურათებზე: ზემოდან — გამოფენის ემბლემა; ჩეხური ენაზე გამოცემული წიგნები: ილია ჭავჭავაძე — „ბაზალეთის ტბა“ და სულხან-საბა ორბელიანი — „სიბრძნე სიცრუისა“; გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.
ა. პეტორის ფოტო.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

თბილისის „დინამო“ — ნახევარფინალში

„დინამო“ (თბილისი)-„კარპატი“ (ლვოვი) — 2:1 (1:1).

12 ივნისი, თბილისი, „ლოკომოტივის“ სტადიონი. მსაჯი ვ. ყარკოვი (მოსკოვი).

„დინამო“ — გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩოგაძე, მ. მაჩაიძე (გ. მაჩაიძე), ქორიძე, დარასელია, ყიფიანი, ჩელებაძე.

„კარპატი“ — რაკიტსკი, ბერეგი, პოტორნიაკი, ბონდარენკო, ჩორბა, ბროვარსკი, დუბროვნი, კიკოტი, ლიხაროვი, დანილიუკი (ხიეკაკი), კოზინკევიჩი.

გუშინდელი ორთაბრძოლა „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამარჯვების მიუხედავად დინამოელთა საუკეთესო მატჩად, ცხადია, არამც და არამც არ ჩაითვლება. საერთოდ კი, როგორც წესი, თასისათვის მოსასარეზენი იშვიათად თუ უჩვენებენ კარგ, ლამაზ ფეხბურთს. ყოველივე ეს გათამაშების სპეციფიკით არის გამოწვეული — დამარცხებული გუნდი ერთბაშად კარგავს ბროლის თასის მოპოვების შესაძლებლობას. ამიტომ არის, რომ მეტოქენი ზედმეტად ნერვიულობენ, ვერ ქმნიან დიდ საფეხბურთო სანახაობას.

მასპინძლებს ამჯერად, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, უფრო გაუჭირდათ თამაში, ვიდრე ეს „კარპატთან“ ამავე მოედანზე ერთი თვის წინ იყო, უფრო მეტიც: შეხვედრის მე-16 წუთზე ლვოველმა დანილიუკმა კარგად გამოიყენა თბილისელ მცველთა შეცდომა და გახსნა ანგარიში. ოთხი წუთის შემდეგ მასპინძლებს მიეცათ წონასწორობის აღდგენის საუკეთესო შესაძლებლობა, მაგრამ ყიფიანმა მიზანს აიცილა ბურთი 11-მეტრიანი დარტყმით. ამის შემდეგ დინამოელებმა (მ. მაჩაიძემ, ყიფიანმა და ქორიძემ) ზედიზედ სამჯერ დაარტყეს ლვოველთა კარში, მაგრამ მეკარე რაკიტსკი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

შესვენებამდე ოროდე წუთით ადრე სტუმრების საჯარიმოში ერთდროულად შეიჭრნენ ყიფიანი და ჩელებაძე. ყიფიანმა წამით „დაასწრო“ პარტნიორს და ანგარიში გაქვითა — 1:1.

მეორე ნახევარში (თამაშის 52-ე წუთზე) სიტუაცია გამეორდა. ყიფიანი კვლავ უხვშად მოცელეს სტუმართა საჯარიმოში და ამჯერად ქორიძემ ზუსტად გამოიყენა პენალტი — 2:1.

დინამოელებმა, როგორც იქნა, „მონახეს“ თამაში და რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნეს „კარპატის“ კართან.

მატჩის, ბოლო წუთები ლვოველთა იერიშებით აღინიშნა, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა. თბილისის „დინამო“ დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ შემდეგ საკავშირო თასის 35-ე გათამაშების მეორე ნახევარფინალისტი გახდა.

ო. ნოზაძე.



ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

სამ თვეს გრძელდებოდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზის — „სიჭაბუკის თასის“ გათამაშება 1960-61 წლებში დაბადებულ ფეხბურთელებისათვის.

და აი გუშინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გადამაშვეს ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ნორჩი დინამოელი“ და სოხუმის განათლების გაწყოფილების გუნდი. თამაშის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 0:0. პენალტების სერიამ გამარჯვება (5:3) მოუტანა სოხუმელებს (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ი. ვრამატიკოპულო).

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელებისაგან დაკომპლექტდა რესპუბლიკის ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს „სიჭაბუკის თასის“ საკავშირო გათამაშების ნახევარფინალში. იგი ქ. არტემოვსკში (დონეცკის ოლქი) გათამართება 3-11 ივლისს.

ი. ბოჭორაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ᲐᲛᲐᲡᲬᲘᲜᲐᲗ კიდევ ერთი ვმხანაგური მატჩი გამართა ჩვენს ქვეყანაში ვიზიტით მყოფმა განის ოლიმპიურმა ნაკრებმა, მისი შეხვედრა იაროსლავლში ადგილობრივ „შინიკთან“ დამთავრდა ფრედ — 1:1.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ტურნირი მონრეალის ოლიმპიადაზე უნდა გახსნილიყო ურუგვაისა და პოლონეთის ნაკრებთა მატჩით, მაგრამ როგორც ურუგვაელებმა განაცხადეს, ისინი არ გამგზავრებიან მონრეალში „ფინანსური მოსაზრებებით“.

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲙᲚᲐᲡᲘ

10 ტურის შემდეგ

ოთხი საგზური საკავშირო პირველობის ნახევარფინალში — აი რისთვის იბრძვიან საქართველოს ჩემპიონატის მონაწილენი. მაგრამ ისინი, ვისაც 20 წელი არ შესრულებია (ასეთი კი უმრავლესობაა), კიდევ ერთს „უმიზნეენ“—ახალგაზრდა მოჭადრაკეთა შორის რუნინეთის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობას. ამ ახპარეზობაში, რომელიც ივლისში გაიმართება, ჩვენი რესპუბლიკიდან ორი ოსტატობის კანდიდატი ითამაშებს.

მეათე ტურიდან ჩემპიონატს კვლავ შემოუერთდა ა. ჩაიკოვსკაია. მისი პარტია გათამაშების ლიდერ ც. კახბრიშვილთან დაუმთავრებელი დარჩა. ც. კობაიძემ მოუგო მ. მამისთვალოვს, ხ. გურგენიძემ — ქ. გეგიძეს, ნ. ხუბულურმა — თ. ხუბაშვილს, ხ. კალანდარიშვილმა — ლ. შელეგას. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

10 ტურის შემდეგ 8 ქულითა და ერთი გადადებული პარტიით კვლავინდებურად ლიდერობს ოსტატობის კანდიდატი ციცინო კახაბრიშვილი. 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს ოსტატობის კანდიდატს ნინო გურიელს, 5,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია — ოსტატობის კანდიდატს მზია წერეთელს, 5 ქულა, 3 გამოტოვებული და ერთი გადადებული პარტია — საერთაშორისო ოსტატს ალა ჩაიკოვსკაიას.

□

მონრეალის ოლიმპიადისათვის

ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲓᲔᲠᲔᲑᲘ

მონრეალი. (საკ.ინ.). 312 სიმღერა წარადგინეს სასწრაფოდ მოწყობილ კონკურსზე „ოფიციალური ოლიმპიური სიმღერისათვის“. ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა თავის მორიგ ცნობაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „წარმოდგენილი იყო პროფესიონალი კომპოზიტორებისა და ახალბედების მიერ მაღალ დონეზე შესრულებული ნამუშევრები“.

ვარაუდობენ, რომ ყველა ამ სიმღერას, რომელთა თითქმის ერთი ნახევარი ფრანგულ ტექსტზე, მეორე ნახევარი კი ინგლისურ ტექსტზე არის შექმნილი, რადიოთი გადასცემენ.

რადიომსმენელებმა უნდა გამოგზავნონ თავიანთი შეფასებანი, რომლებსაც შემდეგ სპეციალური ბიურო შეაჯამებს. პირველი ათი სიმღერა პრემირებული იქნება, მაგრამ კონკურსი ამით არ დამთავრდება. ივლისის დამდეგს გაიმართება ქიურის ახალი სხდომა, რომელზეც სწორედ იმ სიმღერას აირჩევენ, რომელიც ასპარეზობის დახურვის ცერემონიალზე შესრულდება.

პირველი „ოლიმპიური სიმღერა“ საორგანიზაციო კომიტეტმა შარშან შემოდგომაზე აირჩია. ეს იყო — „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მონრეალში“. თუმცა ეს სიმღერა ახალგაზრდა პოპულარულმა სესტრადო მომღერალმა რენე სიმარმა ჩაწერა, იგი მაინც ძნელად საღდებოდა, მელოდია მეტისმეტად გაჟიანურებული იყო და არაფრით არ გამოირჩეოდა.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა მოვახსენოთ ყველა პირს, ორგანიზაციასა და დაწესებულებას, ვინც გაიზიარა ჩვენი მწუხარება გიორგი სამსონის-ძე ოწენიძის გარდაცვლების გამო.

გ. ს. ძოწენიძის ოჯახი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲘᲜᲝᲠᲔᲠᲘᲢᲘ

სოლო სპილოსათვის ორკესტრთან ერთად

ᲔᲒᲒᲔᲜᲘ ლეონოვს, ნატალია ვარლეის, ლეონიდ კურავლიოვს, საველი კრამაროვს და ევგენი მორგუნოვს ამჯერად ცნობილი პოლონელი რეჟისორის ოლდრეიხ ლიპსკის ახალ კინოკომედიაში („სოლო სპილოსთვის ორკესტრთან ერთად“) ვიხილავთ.

...ყველაფერი იმ დღიდან დაიწყო, როდესაც მოსკოვში საცირკო ხელოვნების მსოფლიო ფესტივალის მომწყობი კომისიის ყიურის წევრები ჩამოვიდნენ საუკეთესო საცირკო ნომრის შესარჩევად. იმავე დღეს მოსკოვში თავი მოიყარეს ზოოფილოლოგთა საერთაშორისო კონფერენციის დელეგატებმა. მათი აზრით მეცნიერება მზოლოდ მაშინ წაიწევს წინ, როცა ადამიანები ცხოველებისა და ფრინველების ენაზე ლაპარაკს შესძლებენ ან კიდევ პირიქით... („მოსფილმი“-სსრკ, „ბარანდოვი“-ჩეხოსლოვაკია).

რასაც მაყურებელი ვერ შეიტყობს

კინორეჟისორი იაკობ ბაზელიანის ფილმი „რასაც მაყურებელი ვერ შეიტყობს“ სპორტის თემას ეძღვნება. კინოსურათი სამი ნოველისგან შედგება: პირველი — „ალიოშკას ნაცნობები“ პატარა ლირიკული მოთხრობაა, რომელიც ნორჩი გულშემატკივრისა და მისი კერპის ჰოკეისტ ედუარდ დუგანოვის ამბავს მოგვითხრობს...

ნოველა „დეპეშა“ წარსულში ცნობილი ფეხბურთელის ვასილ მალახოვისა და ახალგაზრდა ნიჭიერი ფორვარდის მიხეილ ბურიაკის სპორტისადმი დამოკიდებულებას გვაცნობს...

მესამე ნოველაში („გამარჯვება მიეკუთვნა“) ახალგაზრდა მოკრივის ბორის მალეინოვის ცხოვრების ერთი ეპიზოდია აღწერილი...

სცენარი ფილმისთვის მწერალმა იური ტრიფონოვმა დაწერა.

მთავარ როლებში არიან დიმა პროშლეცოვი, ვიქტორ სმირნოვი, ივან კრასკო, იური სტარანცევი (გორკის სახელობის კინოსტუდია).



როცა ხომალდებს სწვავენ

მრავალი წელია სეიტი და მისი ცოლი ტამიკო ყოველ დილით პატარა ხომალდით ზღვაში გადიან და ტვირთი გადააქვთ. ეს საქმიანობა მათ მცირე შემოსავალს აძლევს. გავიდა დრო... კონკურენცია მძიმედ დაუწვა სეიტის ოჯახს, რომელსაც არ უნდა შეიგნოს, რომ წვრილი მეპატრონეები განწირულნი არიან, უზარმაზარი კომპანიები თვალის დახამხამებაში შთანთქავენ მას და მის მსგავსთ. მდგომარეობა გამოუვალია. სეიტის ძველი კატერი უნდა დაიწვას...

კინოსურათი იაპონიაში წლის საუკეთესო ფილმად აღიარეს. დიდი მოწონება ხვდა ამ ფილმს ტაშკენტის საერთაშორისო კინოფესტივალზე. ფილმის რეჟისორია იოძი იამადა. მთავარ როლებში არიან ტეიკო ბაისე და ხისასი იგავა (იაპონია).

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.



რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მაღვიძარა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „შეისწავლოთ რუსული ენა“, 11.30 — „მულტპანორამა“. ფერადი გამოსახულებით, 13.00 — „მუსიკალური კიოსკი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „კინოაფიშა“, 14.00 — „საჭადრაკო სკოლა“, 14.30 — „ჯადოსნური ეკრანი“. ფერადი გამოსახულებით, 14.50 — „კინომოყვარულთათვის“, 15.40 — სატელევიზიო ფილმი, 16.10 — „მეტი ბოსტნეული მომხმარებელს“, 16.35 — „მონგოლეთი ყრილობის წინ“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — „დღეს მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა დღეა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.20 — მულტფილმი, 17.30 — ახალგაზრდობისათვის — „დრიის კარნახით“, 18.00 — „საერთაშორისო პანორამა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — მოსწავლეთათვის „ვინ უკეთ, ვინ სწრაფად“. ფერადი გამოსახულებით, 19.55 —„შეხვედრა საინტერესო ადამიანებთან“ — ა. ბიწაძე, 20.15 — ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „დიალოს“ კონცერტი ფერადი გამოსახულებით, 20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — „კინომოზაურთა კლუბი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — ფერადი მხატვრული ფილმი „ქალიშვილები — დედები“.

მეორე პროგრამით

18.05 — ნახატი ფილმი, 18.30 — მოსწავლეთათვის ფერადი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „ვარსკვლავეთის წუთი“, 19.35 — დოკუმენტური ფილმი „მონოლოგი პუშკინზე“, 20.35 — კონცერტი, 21.20 — ქართული მხატვრული ფილმი — „დიდოსტატის მარჯვენა“ (მეორე სერია).

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

13 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲔᲑᲘ** (დღისით მოსწავლეთათვის პირველი აბონ. მე-6 წარმ.). **ᲛᲬᲕᲠᲘᲜᲐᲕᲘ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘ** (საღამოს, მე-15 აბონ. მე-7 წარმ.), შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ**; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ᲠᲐᲡ ᲘᲪᲧᲕᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ** (დღისით და საღამოს); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ᲨᲕᲔᲘᲙᲘ ᲨᲕᲔᲘᲙᲘ ᲨᲕᲔᲘᲙᲘ...** (პრემიერა); საქართველოს მინიატიურების სახელმწიფო — **ᲤᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ.**

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

(ი. ჭავჭავაძის პროსპ. 74)

15 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

სსრ კავშირის პირველობა („ა“ კლასის უმაღლესი ლიგა) „**ᲓᲘᲜᲐᲛᲝ**“ (თბილისი) — „**ᲓᲜᲔᲞᲠᲘ**“ (დნეპროპეტროვსკი).

დასაწყისი 19 საათზე.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა ორგანიზაციებში — 14 ივნისს. სტადიონის სალაროებში საერთო გაყიდვა — 15 ივნისს 10 საათიდან.



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ

Ა. Წ. 18 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ დღის 1 საათზე იწვევს თათბირს, რომელზეც საჯაროდ განიხილავენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ივანე თარხნიშვილის სახელობის პრემიაზე 1976 წელს წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

განხილვაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ დაინტერესებულ პირებს.

ᲗᲮᲝᲛᲐ შედგება მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8, მესამე სართული).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, ბ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60443 УЗ 08901

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

ᲡᲐᲜᲐᲛ ᲒᲕᲘᲐᲜ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ

ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲘ ᲫᲕᲐᲚᲡᲐᲪ ᲣᲚᲘᲡ...

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ

Ა. Წ. 18 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ დღის 1 საათზე იწვევს თათბირს, რომელზეც საჯაროდ განიხილავენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ივანე თარხნიშვილის სახელობის პრემიაზე 1976 წელს წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

განხილვაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ დაინტერესებულ პირებს.

ᲗᲮᲝᲛᲐ შედგება მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8, მესამე სართული).

საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს რაიკომი და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სანატორიუმ „იმერეთის“ მთავარი ექიმი, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, 1939 წლიდან სკკპ წევრი, საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს რაიონული კომიტეტის წევრი

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲜᲘᲡᲘᲛᲔᲚ-ᲫᲔ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.